

## ბანმარტეპითი ბარათი

### კანონპროექტზე: „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეგანის თაობაზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღება განპირობებულია სახელმწიფო საზღვრის დაცვის სისტემის გაძლიერების და ეფექტურად დაცვის მიზნებით. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენების, რუსეთის ფედერაციის მხრიდან გამოხატული პირდაპირი სამხედრო აგრესიის ფონზე ცხადი გახდა, რომ სახელმწიფო საზღვრის დაცვის სისტემა უფრო მოქნილი და ყველა შესაძლო საფრთხის მიმართ ადექვატური უნდა გახდეს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მის მმართველობის სფეროში შემავალ სასაზღვრო პოლიციასთან ერთად საკანონმდებლო დონეზე უნდა მიეცეს სახელმწიფო საზღვრის ცალკეული მონაკვეთების დაცვაში აქტიური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა დანაყოფებს (მათ შორის, გასამხედროებულ დანაყოფებს) არ აძლევს საზღვრის დაცვის ღონისძიებების და სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილებას. საკანონმდებლო აქტებით აღნიშნული უფლებამოსილება ცალსახად გააჩნია მხოლოდ სასაზღვრო პოლიციას, რაც შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე შეიძლება არასაკმარისად ჩაითვალოს.

კანონპროექტის მიღების მიზეზი განპირობებულია აგრეთვე სახელმწიფო საზღვრის დაცვის და კონტროლის სფეროში არსებული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრით.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია სახელმწიფო საზღვრის დაცვის სისტემის გაძლიერება და მისი უფრო ეფექტურად მართვის ღონისძიებების განხორციელება. კანონპროექტის მიზანია ასევე სახელმწიფო საზღვრის დაცვის და კონტროლის სფეროში არსებული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრა, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სისტემის მდგრად განვითარებას.

##### ა.გ) კანონპროექტის არსი

კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო საზღვრის დაცვას საქართველოს სასაზღვრო პოლიციასთან ერთად განხორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო (მ.შ. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და სხვა სქტრუქტურული ქვედანაყოფები). სამინისტროს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო საზღვრის ცალკეული მონაკვეთების დაცვის გაძლიერების და სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას არსებული სამართლებრივი ბარიერების შემცირების მიზნით, სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და კონტროლის ღონისძიებების განხორციელება შეიძლება დაევალოს აგრეთვე სამინისტროს სხვა დანაყოფებსაც. ზემოაღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, კანონის მთელ ტექსტში სიტყვები სასაზღვრო პოლიცია იცვლება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოთი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასაზღვრო პოლიციას,

როგორც „პოლიციის შესახებ“ კანონით (მუხლი 1.1.) განსაზღვრული ერთიანი პოლიციური და გასამხედროებული დაწესებულებების სისტემის შემადგენელ ორგანოს საკანონმდებლო დონეზე შეუნარჩუნდება ყველა ის უფლებამოსილება, რაც მას დღეისათვის გააჩნია. აღნიშნული დაწესებულების კომპეტენცია განსაზღვრული იქნება როგორც ამ კანონით, აგრეთვე „პოლიციის შესახებ“, „საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შესახებ“ და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, მათ შორის სასაზღვრო პოლიციის დებულებით.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დაფინანსების წყაროს მოძიებას. კანონპროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები მთლიანად განხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მისი მმართველობის სფეროში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას იმ პირობების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელზედაც ვრცელდება აღნიშნული კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახადის შემოღებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში აღებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

*დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

*დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*

არ მონაწილეობდნენ.

*დ.გ) კანონპროექტის ავტორი:*

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები – პავლე კუბლაშვილი, აკაკი მინაშვილი

*დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:*

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები – პავლე კუბლაშვილი, აკაკი მინაშვილი